საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7609/01
07/08/2020

7609-01-2-202008072227

შპს „ჯერმან ცემენტ ლტდს“
მის: *ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N35ა, ბ.76*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 30 ივლისის №11880 წერილი, რომელიც ეხება ქ. კასპში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო კოდია: 67.01.51.087, ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად აღნიშნული კოდი ბაზაში არ იდენტიფიცირდება და უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო კოდია: 67.01.51.083, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად რა ცვლილებები იგეგმება საწარმოში და ამასთან, აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა უკვე თუ დაგეგმილია მათი განხორციელება;
- საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „ევრაზია კაპიტალის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებში მიმდინარე საქმიანობებთან დაკავშირებით;
- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენებას ადგილი აქვს მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2008 წლის 26 ივნისის N27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში საკომპრესოროს გაცივების სიტემაში, რომელიც წარმოადგენს ბრუნვით სისტემას და წყლის დღე-ღამური დანამატი მოსალოდნელია 0.5$მ^3$. სკრინინგის განცხადებაში წყლის ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ქ. კასპის საკანალიზაციო ქსელში, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2008 წლის 26 ივნისის N27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვებისთვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოხდება სილოსების დემონტაჟი, დაზუსტებას საჭიროებს რამდენი სილოსის დემონტაჟია დაგეგმილი. ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2008 წლის 26 ივნისის N27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საწარმოში მოწყობილია 6 ცალი 150 ტ ტევადობის სილოსი, ხოლო სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიაზე მოწყობილია 4 ცალი 2000 ტ ტევადობის სილოსი, აღნიშნული ინფორმაციები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო აღნიშნულ პროექტზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე